ხელშეკრულება N114

ქ.ხაშური 1 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ ააიპ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე თამაზ ლურსმანაშვილი** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**
   1.1 ხელშეკრულების საგანია 2 მეტრი საფარდე ქსოვილი, ხაშურის თოჯინების თეატრის სპეკტაკლის რეკვიზიტებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

	დასახელება	CPV	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	საფარდე ქსოვილი	19244000	მეტრი	2.00	12.50	25.00
						სულ: 25.00

3. **ხელშეკრულების ღირებულება**
   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 25.00 (ოცდახუთი) ლარს;

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**
   4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
   4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ორგანიზაციის სუბსიდიებიდან;
   4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე
5. **მიღება-ჩაბარების წესი**
   5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე;
   5.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. **მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი**
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური;
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2017 წლის 1 ნოემბერს;

6. **მხარეთა უფლება-მოვალეობები:**
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში
7. **პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში** ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9.1 ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

9.2 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 8 დეკემბრამდე;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა	**ინდ. მეწარმე თამაზი ლურსმანაშვილი**
და მოზარდთა შემოქმედებითი	
ცენტრების გაერთიანება	
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	ხაშური, იმერეთის ქ. 10
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტეიფიკაციო კოდი 57001000468
ბანკის კოდიTRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE75BG0000000144162800
გაერთიანების დირექტორი	ინდივიდუალური მეწარმე
გიორგი ბოლოკაძე	თამაზი ლურსმანაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ ხაშური 1 ნოემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ ინდ მეწარმე თამაზ ლურსმანაშვილი, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება N114ის საფუძველზე ინდ მეწარმე თამაზ ლურსმანაშვილმა მოაწოდა 25.00 (ოცდახუთი) ლარის ღირებულების საფარდე ქსოვილი, ხაშურის თოჯინების თეატრის სპეკტაკლის რეკვიზიტებისათვის

	დასახელება	CPV	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	საფარდე ქსოვილი	19244000	მეტრი	2.00	12.50	25.00
						სულ: 25.00

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

გიორგი ბოლოკაძე

თამაზ ლურსმანაშვილი